



gazeTi gamodis  
1931 wl is 5 ianvridan

# კ ლ ი ო ნ ი

ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ვ - პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი გ ა ზ ე თ ი

ყოველკვირეული გამოშვება  
ფასი 20 თეთრი

## მთავრობამ ოზურგეთს 599 000 ლარი გააყოფა

მარი კოპოვიძე

16 მაისს გამართულ საკრებულოს სხდომაზე დღის წესრიგით გათვალისწინებული ხუთი საკითხი განიხილეს.

ცვლილებები იქნა შეტანილი 2012 წლის ბიუჯეტში „აუცილებლობად გამოძიწარე“ საჭირო გახდა შეჭირვებულ მოქალაქეთა სამედიცინო მომსახურების პროგრამის გაზრდა.

მთავრობის განკარგულებით ოზურგეთს გამოეყო 599 000 ლარი. აქედან 500 000ლ. ურეის ბუღალარის მოწყობისთვის ხოლო 99 000 ლ. აგრეთვე თეთრი ჰებლას საწინააღმდეგო ღონისძიებების განსახორციელებლად. ითქვა, რომ 7 მაისის მღვდარობით შემოსავლებმა ვარიანებიდან და საურავებიდან შეადგინა 103,9 ათ. ლარი. წლის ბოლომდე კი მიბილიზებული იქნება დამატებით 110,0 ათ. ლარი. ამის საშუალებით შემოსავლების გეგმა გაიზრდება 110.0ათ. ლარით.

მდებარე შემოსავლიდან დამატებით დაფინანსდება სარეზერვო ფონდი 10 000 ლარით, სოციალური და ჯანდაცვის პროგრამები 93 000 ლარით, უპატრონო მიცვალებულთა დაკრძალვის ხარჯები 3 000 ლარით, შეჭირვებულ მოქალაქეთა სამედიცინო მომსახურების პროგრამა 90 000 ლარით და წარმომადგენლობითი ხარჯები 7 000 ლარით.

საკრებულოზე იმსჯელეს სათამაშო ბიზნესის მოსაგრებელთან დაკავშირებითაც. დადგინდა, რომ გადასახდელი იქნება თითოეულ სამორინე მგედაზე კვარტალში 15 000ლ. სათამაშო აპარატზე კვარტალში 1 500ლ. წამახალისებელ გათამაშებაზე საპრიზო ფონდის 10%. სისტემურ ელექტრონული ფონდით მოწყობილ თამაშობაზე კვარტალში 30 000 ლარი. კლუბის მგედაზე კვარტალში 3 000 ლ.

ასევე დადგინდა გარე რეკლამის განთავსების ფასებიც. ცენტრალურ და შუალედურ ზონებში რეკლამის განთავსება 40 ლარი ღირს, ხოლო მუნიციპალიტეტის სხვა ტერიტორიაზე 20 ლარი.

## დაგვიანდება თუ არა საყანო ფართობების დახვნა-დათესვა?

მარი კოპოვიძე



ურში - 900 ჰა. ოზურგეთში-2 800 ჰა. საყანო ფართობია დახნული, ხოლო დათესილი ამ ფართობების დაახლოებით 20 პროცენტი. საყანების ჯერ კიდევ დიდი ნაწილის დაუმუშავებლობას ჭყონია ხანგრძლივ უნაღებლობას უკავშირებს.


**ბიორები ჭყონია:** მართალია მოსახლეობა როგორღაც განაგრძობს დახვნას, მაგრამ იმის გამო, რომ დაახლოებით ხუთი აპრილის შემდეგ ნალექი არ მოსულა, სამუშაოს ჩატარება სრულყოფილად ვერ ხერხდება. რაც შეეხება დათესვას, ამ პირობებში აზრი არ აქვს. თანდათანობით კიდევ უფრო გაჭირდება საქმე თუ არ გაწვიმდა. ტრაქტორი რომ ჩაიყვანეთ ფართობში გუთნაბა სამუშაო ვერ შეასრულა. იმ ფართობების დახვნა, სადაც ჯერ კიდევ ტენია შენარჩუნებული, მეტ-ნაკლებად მიმდინარეობს. მოგვიწვეს ნალექის მოსვლას დაველოდოთ. ალბათ იენისის შუა რიცხვებისთვის დასრულდება ხვნა-თესვა.

— რა უჯდება გლეხს ყანის დახვნა-დათესვა?  
— სხვადასხვანაირი ფასებია. არსებობს შ.პ.ს. „მექანიზატორი“, რომელიც ამ ეტაპზე ყველაზე იაფად გვთავაზობს მომსახურებას. სტანდარტული ოპერაციებით ჰექტარის დამუშავება 265 ლარი ჯდება. თუ კერძო ტრაქტორებს მივმართავთ 30-35 ლარი ზოგჯერ მეტიც კი. კერძო ტრაქტორებზე ფასს მეპატრონეები აწესებენ და ამას ვერანაირად ვერ გავაკონტროლებთ. „მექანიზატორი“ ყველაზე იაფად და ყველაზე ხარისხიანად გვთავაზობს მომსახურებას. მათ ჰყავთ უახლესი ტექნიკა და რა თქმა უნდა მათი გაწეული მომსახურებაც უფრო ხარისხიანია. კერძო პირებს კი მოძველებული, ამორტიზებული ტექნიკა ყავთ, რომლებიც არ არიან იმ დეკლარაციაში, რომ მიწა საჭიროებისამებრ დაამუშაოს.

— არის თუ არა საკმარისი ტექნიკა?  
— მერიაში სერვის ცენტრი ნაწილობრივ ამოქმედებულია. ამ ეტაპზე სულ ცხრა ერთეული ტექნიკა ყავთ. კიდევ უნდა მოხდეს ტექნიკის დამატება. უნდა შემოვიდეს სულ 20-40 ერთეული. დასაქმდება 25-დან 40-მდე ადამიანი. როცა სერვისცენტრი სრული დატვირთვით ამოქმედდება, დიდ შეღავათს მისცემს ფერმერებს და გლეხებს. ამ ეტაპზე რომ გითხრათ პრობლემა სრულადაა მოგვარებული მეთქი, ასე არ არის. მაგრამ, როცა სერვისცენტრი სრული დატვირთვით ამუშავდება, მაშინ კი მოგვარდება პრობლემა. რატომღაც მიაჩნდათ და მიაჩნათ, რომ მიწის დასამუშავებელი იარაღი მხოლოდ გუთანი და ფარცხი, არადა მიწის დასამუშავებელი უამრავი სხვა საშუალება არსებობს. მაგალითად, მიწის ღრმად გამაფხვიერებელი, ასევე სხვადასხვა ტიპის მოსავლის ამღებები კარტოფლის და სიოის და ა.შ.

— ამერიკული სიმინდის დათესვის სურვილი თუ გამოთქვს ფერმერებმა?  
— ვინც შარშან ყველა წლის დაცვით მოუარა ყანას კარგი მოსავალი მიიღო და წელსაც აპირებს დათესვას. ვინც ვერ მიიღო მოსავალი ეს მისი პრობლემაა, არასწორად მოუარა ყანას. შარშან დათესვებზე ცივმა და ტენიანმა ამინდებმაც იმოქმედა. მოხდა სიმინდის ჩაღობა. თან სანიაღვრე არხები იყო მოწესრიგებული. წელს გათვალისწინებულია არხების გაწმენდა.

თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ჩვენს სიმინდი, რომელიც თავისთავად პიბრიდია გადაგვარდა, მიეჩნება მეტ ნაკლებად ჩვენს კლიმატს, ამიტომ



23 მაისს, ღლის 14 საათზე,  
ოზურგეთის სახელმწიფო თეატრში  
გაიპარტობა ოზურგეთის საზოგადოების  
შეხვედრა კოალიცია „ქართული ოცნების“  
ლიდერებთან.  
კოალიცია „ქართული ოცნების“  
ოზურგეთის შტაბი.

## როგორი აქტივობა იქნება 23 მაისს კოალიცია „ქართული ოცნების“ შეხვედრაზე?

საჯარო მოხელეების მიერ 10-კაციანი საარჩევნო სიების შეგროვების თემა არახალია. მას წინათ ერთ-ერთი სოფლიდან ერთ-ერთი საჯარო მოსამსახურე მოვიდა და გვითხრა:  
—რა წყალში გადავარდე არ ვიცი. ჩემი მეზობლები პირადობის მოწმობას არ მძღვევენ. მეუბნებიან-ჩვენ ხმას იმ ხელისუფლებას არ მივცემთ, სოფელი ასე რომ დაიფუცხო. სამი კაცის პირადობის მოწმობა შევაროვე, მათაც არ უნდათ მე სამსახური დავტოვო, თორემ ისინიც ხელისუფლების მიმართ კრიტიკულად არიან განწყობილი.

ერთმა ნაცნობმა ისიც გვითხრა, რომ მას „აუხსნეს“, რომ თუ არჩევნებისას, ხმის მისცემ კაბინაში თუ როგორ მოიქცევა, ამას ფარული ვიდეოთ დააფიქსირებენ(!?) მთორემ თქვა, რომ თუ ვის მისცემს ხმას, ეს მობილური აპარატით გადაღებული ფოტოთი უნდა დადასტუროს...მოკლედ, ამ თემაზე ბევრი ჭორის თუ მართალის წარმოდგენა შესაძლებელია.

მეცხრე არხის სატელევიზიო გადაცემების მისაღებად სატელევიზიო ანტენების დადგმაც პრობლემატურია. მაგალითად, ქალაქის მიმდებარე ერთ-ერთი სოფლის ორი ახალგაზრდა გააფრთხილეს, რომ პრობლემა შეექმნებოდათ, თუკი მე-9 არხის სატელევიზიო ანტენას დაიდგამდნენ. მათ გაფრთხილება არად ჩააფხვეს და „ქართულ ოცნებას“ ოზურგეთის ოფისს შესაბამისი განცხადებით მიმართეს. ღმ და მისი თანამოაზრე სადაც ვერ არს, იქ დაიბარეს გასაუბრებაზე...

ბოლო დღეების ინფორმაციით მიმდინარეობს სატრანსპორტო საშუალებების მძღვლების გაფრთხილება, რომ 23 მაისს, კოალიცია „ქართული ოცნების“ მიერ სახელმწიფო თეატრში შეხვედრაზე არ გადაიყვანონ მგზავრები სოფლებიდან და ქალაქის განაპირა უბნებიდან. როგორც ერთ-ერთი მიკროავტობუსის მძღვლმა „გაგვეწლო“ მას ათი თავი არ აქვს, ძალოვანებთან პრობლემა შეიქმნას...

## ველოტური „არა ოჯახურ კალაძობას“



კვირას, 20 მაისს, სოფ. დვბაშუში ველოტური ჩატარდა, რომლის ინიციატორი არასამთავრობო ორგანიზაცია „ქალები რეგიონის განვითარებისათვის“ იყვნენ.

იგი ახლახან ტრაგიკულად დაღუპული დვბაშუელი ახალგაზრდის, რეზიკო ღლონტის ხსოვნას მიეძღვნა. ველოტურში 40-მდე ვაჟი და 6 გოგონა მონაწილეობდა.

ვაჟების გასავლელი ტრასა სოფ. დვბაშუს ცენტრიდან სოფ. ქვედა ბახვის გადასახვევამდე იყო, ხოლო გოგონებს სოფ. დვბაშუს ცენტრიდან ყოფილ საბურავების ქარხნამდე მანძილი უნდა დაეფარათ.

▶▶▶ 88-4

## 7 დღის ამინდის პროგნოზი

	<b>ჭამა ქუხილი</b> წვიმა +17+20		<b>კლიერი</b> წვიმა +15+18		<b>ღრუბელი</b> წვიმა +14+21		<b>კლიერი</b> წვიმა +14+21		<b>ღრუბელი</b> წვიმა +16+25		<b>ღრუბელი</b> წვიმა +14+21		<b>ღრუბელი</b> წვიმა +15+23
22 მაისი სამშაბათი	23 მაისი ოთხშაბათი	24 მაისი ხუთშაბათი	25 მაისი პარასკევი	26 მაისი შაბათი	27 მაისი კვირა	28 მაისი ორშაბათი							

# რა ღირს პოლიტიკოსის პარკი და კერძო საგადასახადო ინსპექტორების მორიგი „პოიაჟი“ ოზურგეთში

## გაზეთი „ალიონი“



ვარდება რომ არასასადასახადო მომენტია ნებისმიერი მოქალაქისათვის, ამაზე არავი დაობს. ზოგი მას ავტორიტარული მოძრაობის წევრების დარღვევისათვის იხდის, ზოგი-უსაფრთხოების ღვედის არ გამოყენებისათვის და ა.შ. რაც სამართლიანია, მაგრამ იმას, რასაც ზოგჯერ კერძო საგადასახადო ინსპექტორები აკეთებენ, საზოგადოება ვერ ჰგულის და პროტესტს გამოხატავს. ისინი რა მეთოდებს არ მიმართავენ მეწარმეების „გამოსაჭერად“.

— „ბაზაში შემოვიდა მალაზიაში, საღებავი რეზინი აიღო, ფული დაავლო და გაიქცა. მე სალაროს ქვითარი ამოვწერე. ორიოდ წუთში ბიჭუნას კერძო საგადასახადო ინსპექტორი შემოჰყვა და მითხრა: — შენ „ჩეიკი“ არ ამოვიწერიაო და 500 ლარიანი ჯარიმა ამოუწერა—ჰყვება ერთი.

— ჩემთან ახალგაზრდა მამაკაცი შემოვიდა. ამ დროს მალაზიაში ხალხმრავლობა იყო. შავი წიწკა იყდა. 25-თეთრიანი სალაროს ქვითარი ამოუწერე. შემდეგ რაღაც წერილმანი კიდევ მიხვდა. გამკვირვებულმა მივლო. მამაკაცი ფული მაგიდაზე დადო, ჩემს მიერ სალაროს ქვითრის ამოწერას არ დაელოდა და სწრაფად გავიდა. მე სალაროს ქვითარი რა თქმა უნდა ამოვწერე და წინ მეღო. ორიოდ წუთში მას კერძო საგადასახადო ინსპექტორი შემოჰყვა და 500-ლარიანი ჯარიმა ამომიწერა...

— სავაჭრო ცენტრში დაბალი ტანის ახალგაზრდა მამაკაცი შემოვიდა და საკანცელარიო საქონლის სექციისთან მოვიდა. 25-თეთრიანი ფანქრის სათლელი აიღო, ფული დადო და სანამ სალაროს ქვითარს მივაწოდებდი, სწრაფად დატოვა იქაურობა.

— ჩეიკი წაიღე-მეთქი დაეუბნა, მაგრამ ყურადღება არ მომაქცია. ორი წუთი შემდეგ დაბრუნდა და კერძო საგადასახადო სამსახურის მოწმობა მანქანა.

— ამოწერილი ჩეიკი მანდ დევს და რატომ არ წაიღე-მეთქი!- მკაცრად უთხრა.

„კედელს ცერცვი შეაყარე“— არაფერი გამომივიდა. 500-ლარიანი ჯარიმა ამომიწერა.

მსგავსი ფაქტი 3 თვის წინათაც მოხდა. სასამართლოს მიმართე. 500-ლარიანი ჯარიმიდან 200 დამიტოვა გადასხედლად. მცირე მოვარეების ასეთი დატერორებით აშენდება ქვეყანა?— ამბობს სექციის გამგე ქალბატონი.

ასეთი ფაქტების მოყვანა ბევრის შეიძლება, მაგრამ ის, რაც 5 მაისს, ექვთიმე თაყაიშვილის ქუჩის დასაწყისში, სავაჭრო სახლ „მოღერის“ მოპირდაპირე ინდ მეწარმე აკაკი ხურცილავას მალაზიაში მოხდა, შედარებით განსაკუთრებულია.

**მარინა ზურცილავა:** — „ორი თვის წინ ერთი პიროვნება შემოვიდა მალაზიაში. სოფელში, ჩემი შორეული მეზობელი მეგონა და საგადასახადო სამუშაოებზე ჩამოვუვდე სიტყვა. თურმე ვცდებოდი, მაგრამ მანაც „როლი“ შემშვენა და დიდ ზამთარზე და სოფლის პრობლემებზე მესაუბრა. წასვლისას საღებავი რეზინი ითხოვა. როგორც „თანასოფელელს“ ფული არ გადავადვებინე, ისე გავატანე. ორიოდ წუთში თავის მეწყვილესთან ერთად რომ შემოვიდა, მივხდი, რომ შევცდი. დამწამავე ვიყავი და არანაირი პროტესტი არ გამომიხატავს 500-ლარიანი ჯარიმის გამო...“

5 მაისს მალაზიაში ჩემი და აღინა ვაჭრობდა. შემვიდა ორი მამაკაცი, ერთი 30-წლამდე, მეორე უფრო ახალგაზრდა.

30-წლამდე მამაკაცი, რომელსაც მეგობრული აქცენტი ჰქონდა, სიმინდის ბურბუშელა შეიძინა. ჩემმა დამ სალაროს ქვითარი ამოუწერა. ისინი მალაზიიდან გავიდნენ. როგორც ჩანს, უფრო ახალგაზრდად გასვლისას კარებთან ჩუმად ჩამოსხნა პოლიეთილენის ერთჯერადი პარკი, რომელსაც მომხმარებელთა მიერ შექმნილი სურსათის ჩასადებად ვიყენებთ. ორიოდ წუთის შემდეგ ისინი მალაზიაში დაბრუნდნენ და ჩემს დას განუცხადეს, კერძო საგადასახადო ინსპექტორები იყენებ და 500-ლარიანი ჯარიმა უნდა გამოეწერათ იმის გამო, რომ გამყიდველმა პოლიეთილენის პარკის შექმნისას სალაროს ქვითარი არ ამოწერა.

ჩემი და უხსნიდა, რომ მას მათთვის პოლიეთილენის პარკი არ მიუცია, რომ ერჯერადი პარკი უფასოა და იგი მომხმარებლის მიერ შექმნილი სურსათის ჩასადებად იყენებენ, მაგრამ კერძო საგადასახადო ინსპექტორმა ბიჭუნა ლომაიამ 500-ლარიანი ჯარიმის ოქმის (№004463) გამოწერა დაიწყო და ჩემი დას რეპლიკების გამო დაეუბნა:

— გაჩერდი თორემ, დაუმორჩილებსათვის 1500 ლარ ჯარიმას ამოვიწერო (!)

აღინას დიბეტი და გული აწუხებს და ცუდად შეიქნა. ხალხი შეგროვდა. სასწრაფო ბრიგადამ იგი საავადმყოფოში გადაიყვანა. პოლიციაც მოვიდა. ლომაიას და მისი „მეწყვილეს“ პოლიციაში გაესაუბრნენ, მაგრამ ჯარიმა მალაში დარჩა. იმის გამო, რომ ეკონომიკური საშუალება არ გვაქვს, ჩემი და სახლში წვეს. რითი უნდა გადავიხადოთ, არ ვიცით. ეს არის სამართალი?

ბიჭუნა ლომაის მიერ დაწერილ ოქმში მოწმედ თავად აღინა უღრელიძეა ჩაწერილი... (!)

ამ მეთოდით შეგროვილი ფული სახელმწიფოს წაადგება?“

# წვინდა გიორგის ქუჩის მცხოვრებთა ბასაჭირი

ეს ქუჩა ქ. ოზურგეთის განაპირას, ექვთიმე თაყაიშვილის ქუჩის მდებარეობს. იგი ერთ-ერთი დიდი ქუჩაა ოზურგეთში. აქაური მოსახლეობას პრობლემები მოძალდება და ადგილობრივ ხელისუფლებას დახმარებისათვის მიმართავს.

**— ასფალტირებული გზა გვექონდა. ქალაქის ახალი წყალსადენის მშენებლობის დროს ქუჩა გადათხარეს და შემდეგ აქ გავლა ჰქონს. მართალია წყლის მიღმა წმ. გიორგის ქუჩაზე გაიარა, მაგრამ მოსახლეობას წყლის პრობლემა აწუხებს. წყალი არ გვაქვს. რაც შეეხება გაზიფიცირებას, იგი ჯერ-ჯერობით შორეული ოცნებაა.**

ამ პრობლემებით დაზუნძული აქაური მოსახლეობის წარმომადგენლები: სოზარ გულბანი, სვეტლანა აფაქიძე, თინა მელუა, მანანა ონიანი, ძაბული, მკა გობრონიძეები, ციური დვალ-იშვილი, ნათელა სიხარულიძე, ლალი რუსიევილი, მანანა, ავთო, თამარ, თინა მენაბდე, ავთო ჩაველიშვილი, თამარ ავაქიანი გასულ ორშაბათს ოზურგეთის მუნიციპალიტეტში იყვნენ. ისინი იქ მიიღეს და სასწრაფოდ სპეციალისტების გაგზავნას და საშუალების დაწყებას დაპირდნენ. თუმცა როგორც ვახუთ „ალიონის“



# ოზურგეთის სიმბოლოების ბანხილვა კვლავ ბრძედება

## ნუზხარ ასათიანი



გვატქმევინეს—ეს ოზურგეთიაო.

**კახა ვასაძე,** ისტორიკოსი:— გარკვეული სამუშაოები შესრულდა. როგორ უნდა შეირჩეს, ეს მხატვრებმა უნდა გადაწყვიტონ თუ საკრებულომ კენჭისყრით?

**საყვალა სალუქვაძე,** არქიტექტორი:— ორი წლის წინ დაიწყო განხილვა. რამდენიმე იდეა იყო, თავდაპირველად აჭის წმინდა გიორგის ხატი, შემდეგ წმ. თამარის ჯვარი და ა.შ. კონკრეტული იდეა უნდა ჩამოყალიბდეს...

**ავთანდილ თავართქილაძე:** — ფარი, რომელიც შემოგვავაზეს და რომელზეც უნდა გამოისახოს გერბი, არის ევროპული. მან კომპოზიციის შეცვლა გამოიწვია. ჰერალდიკის სპეციალისტ სჭირდება ამას.

**ვასტანგ გველებანი,** მუნიციპალიტეტის საკრებულოს პრესსამსახური:— გერბის მიღება რთული საკითხია. ფეისბუქზე გამოვაცემენოთ საკონკურსო მასალები, მაგრამ მოსახლეობის აქტიურობა დაბალია. ყველაზე მეტი გამოხმაურება ჰქონდა „სამ ძმა გურულს“ და აჭის წმინდა თამარის ჯვარს.

**ზაზა ვინჭარაძე,** თეატრის დირექტორი:— ეს უნდა შეაფასოს ჰერალდიკის საბჭომ.

**თამაზ დარჩია,** მხატვარი:— გერბი აქაურმა მხატვრებმა უნდა შეექმნათ. ჩვენ ნამუშევრებში ჩვენი იდეა ჩავდეთ, აგერა საზოგადოება და აირჩიოს.

**გოგა ტრაპაძე,** ისტორიული მუზეუმის დირექტორი:— აუცილებელია ისტორიული მემკვიდრეობის, გეოგრაფიული მდებარეობის ასახვა, გერბი შინაარსობრივად უნდა იყოს დატვირთული.

დესკუსიაში ასევე თავიანთი პოზიცია დააფიქსირეს კოალიცია „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებმა **კოტე შარაშენიძემ, ტიფო მიქატაძემ,** ისტორიკოსმა **მანანა ლომაძემ.** ისტორიის პედაგოგებმა.

გერბის გარშემო მსჯელობა გრძელდება.

ორი წელია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გერბის განხილვა მიმდინარეობს. კონკურსში მონაწილეებმა არაერთი საინტერესო ესკიზი წარმოადგინეს, მაგრამ კომისიას საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ არ მიუღია.

ამჯერად ოზურგეთის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში გაიმართა მორიგი დისკუსია, თუმცა საბოლოოდ მაინც არ ჩამოყალიბებულან ამ თემაზე. დისკუსიას თამარ კუპრაძე უძღვებოდა.

**ავთანდილ თავართქილაძე,** მხატვარი:— კონკურსის პირობები ვიცით. იყო რამდენიმე შეხვედრა, მაგრამ მაინც ვერ შევედრით. კონკურსი გაიწვია დროში. ვფიქრობ, ოზურგეთის სიმბოლიკის საბოლოო ვარიანტს ისინი გააკეთებენ, რომლებსაც შეარჩევენ, შესაძლოა თბილისში გააკეთონ.

**თამარ კუპრაძე:**— მაინც რატომ გაიწვია დროში, გადაწყვეტილება რატომ ვერ მიიღეს?

**ვასილ მჭავანაძე,** მოქანდაკე:— ეს საკითხი სხვა პროფესიის ადამიანებმა, ჰერალდიკოსებმა უნდა გადაწყვიტონ.

**ვასტანგ მამუშვილი,** მხატვარი:— ვერც ერთი ესკიზი ვერ გამოისახავს ოზურგეთის სასიათს.

**თამაზ ლომჯარია,** არქიტექტორი:— ჩვენ ხშირად ვურევთ ერთმანეთს ოზურგეთს და გურიას. არ გამოიკვეთა რით განსხვავდება ოზურგეთი ხაშურისაგან ან ლანჩხუთისაგან. უნდა მოიძებნოს ის, რაც გერბზე შეხედვისას

**განცხადება**

**სააქციო საზოგადოება „იმედი“-ს**  
**აქციონერთა საზურაოდლობა!**

2012 წლის 25 მაისს, დღის 16 საათზე, მოწვეულია სააქციო საზოგადოება „იმედი“-ს აქციონერთა კრება.

**დღის წესრიგი:**

- 1. გასული 2011 წლის სამეურნეო და ეკონომიკური შედეგების განხილვა და 2012 წლის პირველი კვარტლის შედეგები;**
- 2. სამეთვალყურეო საბჭოს არჩევნები;**
- 3. ორგანიზაციული საკითხები.**

აქციონერთა დასწრება სავალდებულოა.

**სააქციო საზოგადოების დირექტორი და**  
**სამეთვალყურეო საბჭო.**

**მადლობა**

ლაითურის საჯარო სკოლის მასწავლებლების დიდი ნაწილი (25 პედაგოგი) ოზურგეთში ცხოვრობს და ყოველდღიურად ქალაქიდან დადის სკოლაში. პედაგოგებს ემსახურება ავტობუსი, რომელიც დღეში ოზურგეთი-ლაითურის მიმართულებით სპეციალურად ორ რეისს აკეთებს.

ავტობუსის მძღოლი, ტარიელ თოიძე კეთილსინდისიერად ემსახურება პედაგოგებს. არის გულისხმიერი და კეთილშობილი ადამიანი.

გვინდა მადლობა გადავუხადოთ მას ამისათვის.

**ლაითურის საჯარო სკოლის კოლექტივი.**



# 18 მაისს მუზეუმების საერთაშორისო დღე აღინიშნა

## „გურიელების სასახლის ნაფუძვარზე ტუალეტის აგება არ შეიძლება!“



18/05/2012

18 მაისს, მუზეუმების საერთაშორისო დღეს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ისტორიულ მუზეუმში სამეცნიერო კონფერენცია გაიმართა.

კონფერენცია გახსნა მუზეუმის დირექტორმა გოგა ტრაპაიძემ. მუზეუმის თანამშრომლებს, შეკრებილ საზოგადოებას ეს დღე მიულოცეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ალექო მამეშვილმა და გამგებელმა ილია ვაშაყაძემ.

მოსენებები: „XIX საუკუნის სავაჭრო ცენტრები გურიაში“, „ძველი აბანოების ნაშთები ოზურგეთში“, „მეთუნეობა გურიაში“, „საგამომცემლო საქმის ისტორიიდან გურიაში“



გურიაში, კერძოდ ოზურგეთში და მის მიმდებარე სოფლებში ვაჭრობა აქტიურ საქმიანობად ითვლებოდა. მე-19 საუკუნის დასაწყისში გურიაში მთელი ვაჭრობა ლაზების ხელში იყო მოქცეული, რადგან გურულებს ეს საქმე სასიცოცხლოდ მაჩვენებდა. „აქაც სახლობენ ვაჭარნი სომეხ-ურანი და ვაჭრობენ.“ (ვახუშტი) „3-4 ქართველი კათოლიკეებიც არიან, გვარად თუმანიშვილები. ესენი პირველად ექვსი ძმა ყოფილან, როცა ახალციხიდან წამოსულან ბედის საძებნელად. პირველად მოსულან ქუთაისში, იქიდან ოზურგეთში გადმოსულან. აქ ვაჭრობისთვის მოუკიდიათ ხელი. გურულებიც მფარველობას თურმე უწევდნენ, და ერთ დროს შეძლებული ვაჭრების სახელიცა ჰქონიათ. ესენი მამინ ვაჭრობდნენ ოზურგეთში, (1860-იან წლებში), როცა გურულებს ვაჭრობა, ადგილის დაჭრა და ხალხის უკან დგომა სირცხვილად და ცოდვად მაჩვენებდა. თანაც არ არსებობდა კანონი, რომელიც ვაჭრების ცხოვრებას დაიცავდა. ბატონის შეძლო თავისი ყმა-ვაჭრისთვის ყველაფერი წაერთმია. თუ ერთი-ორი ვინმე გულს არ იტყვდა და მაინც ვაჭრობდა, უეჭველად თოფ-იარაღში უნდა მკვდარიყო. ვაჭარს კბილი ეჭირა სიცოცხლეს და საქონელიც.“ (თ. სახოკია „მოგზაურობანი“) მოგვიანებით სიტუაცია შეიცვალა. შედარებით მშვიდობა ჩამოვიდა. ასპარეზზე სომეხები და ებრაელი ვაჭრები გამოვიდნენ. ეს ყველაფერი შეიძლება XIX ს 50-იან წლებში ხდებოდა, რადგან როგორც თეოდოსიო სახოკია აღნიშნავს, „1850 წლისათვის ოზურგეთში არც სომეხი და აღარც ებრაელი ვაჭარი არ არის!“ გურულები თანდათან გაიწაფნენ ვაჭრობაში, ისწავლეს როგორ ეწარმოებინათ თავიანთი საქმე, ამიტომაც ოზურგეთში უბრალოდ სხვა ეროვნების ვაჭრებს ადვილი აღარ დარჩათ საქმის წარმოებისათვის. გურულებმა საკმაოდ სწრაფად შეითვისეს ვაჭრობის საიდუმლოება, გამოიჩინეს შნი და უნარი. შეაფიქროვეს უცხო ტომის ვაჭრები. „უცხო ტომის ვაჭარს გურულები თავიანთ შორის არ აბოგინებდნენ. გურულების ხელში იყო მოქცეული ხელოსნობის დარგებიც: „ზეინკალი, ხაბაზი, მეწაღე, მეთუნეუქე, კალატოზი, მემეშე, მჭედელი, მღებავი, ყასაბიც კი სულ გურულები არიან. გურული ვაჭრები ძირითადად ქართულად იყვნენ ჩაცმულნი. ერთეულები თუ ატარებდნენ ევროპულ ტანსაცმელს. დარბაისელი ვაჭარი შემდეგნაირად გამოიყურებოდა, შალის ან მკუდის ჩოხა კოჭკამდე, ვერცხლის ქამარი, გრძელქუცვიანი ვერცხლის საათი, შარვლის ტოტები წალბზე გადმოშვებული, ზაფხულში თავზე ასურავს ჭილოფის ქუდი, ხელში უჭირავს ქარვის ან გიმორის კრიალოსანი, ზამთარში ტანისამოსს ემატება პალტო, მხრებზე წამოსხმული პლედი. ოზურგეთში რამდენიმე ადგილზე იმართებოდა და მიმდინარეობდა ვაჭრობა, მათგან მთავარი იყო ოზურგეთის ბაზრობა, ეწ. „პარასკეობა“ პარასკეობა ძველთაგან ადგილობრივი წესი იყო. ბიზანტიასა და ძველ რუსეთში და ალბათ საქართველოშიც, წმ. პარასკევა ვაჭრებისა და ბაზრების მფარველად იყო მიჩნეული. საქართველოში პარასკევი ნაწილობრივ უქმე დღედ ითვლებოდა. ამ დღეს „მიწის შეძრა“ მიწის სამუშაოების შესრულება არ შეიძლებოდა. თუ ამას დაუმატებთ, რომ

მაჰმადიანური სარწმუნოებაც პარასკევს (ჯუმა დღეს) უქმად მიიჩნევდა, ცხადია პარასკევი შემთხვევით არ იყო სავაჭრო დღე. გარშემო სოფლებიდან შემოპქონდათ ხილი, მწვანელი, ფროთოსანი, ოთხფენი, სხვადასხვა ნაქივები (აბრეშუმის, მატყლის), თიხის ჭურჭელი, ქვევრები, კოკები, ღოჭები, მჭადის საცხობი კეცები, გამოპქონდათ გათლილი ფიცრები. პარასკეობაზე უამრავი ხალხი ირიოდა და გაცხოველებული ვაჭრობა მიმდინარეობდა. სავაჭრო დღეები ქალაქის შუა ადგილას, ეწ. ბაზრისწყლის მარჯვენა მხარეს ორიგად იყო ჩამწკრივებული. თავდაპირველად შენობები ხისგან იგებოდა. „ოზურგეთის სავაჭრო ადგილზე ყველგან ხის სახლებია, ყაფრით გადახურული. დღეები არის დაბალ-დაბალი. ზოგ დღეებში არის ბუნარი, რომლის ტარება სახურავს ზევით კი არ არის ამოყვანილი, არამედ სახურავს შიგნით თავდება და შიგნივე ევლება. მოგვიანებით ხე ქვიტირდა შეცვალა, რადგან ერთ-ერთი არეულობის დროს გაჩნდა ხანძარი, რომლის დროსაც დღეები ერთ ღამეში თავიდან ბოლომდე გადაბუგლდა. შემინებულ ხალხს ამის შემდეგ ხის დღეები აღარ აუგია და ქვიტირის დღეების შენებას შესდგომიან. ოზურგეთის გარდა თავისი ბაზრობით ცნობილი იყო სოფელი ნაგომარი. ნაგომარი ოზურგეთიდან 12 კმ-ის მანძილზეა დაშორებული. ნაგომარი მთავრად სამოურავო იყო გურიელის და მოურავად იქ იჯდა თავადი გუგუნავა. გურიელი ხშირი სტუმარი იყო თავისი სამოურავოს და ალბათ სხვათაშორის ესეც დაეღო მიზეზად იმას, რომ ამ სოფელში დაბა გაშენდა და ვაჭრობა გაჩაღდა. „ოზურგეთთან ერთად მაშინ გურიის ცენტრი იყო მთავრის სადგომი სოფ. ნაგომარი. სწორედ აქ დაარსა გურიელმა თავისი დედის, 1814 წ. გარდაცვლილი მარინას ხსოვნის აღსანიშნავად 1816 წ 17 ივლისს „ქალაქობა“ (წმ. მარინეს დღე) ანუ „იარბურკა“-რომელიც შემდეგ ყოველწლიურად იმართებოდა და თვის ბოლომდე გრძელდებოდა.“ (ქ. ჩხატარაიშვილი „გურიის სამთავროს შეერთება რუსეთთან“)



ჯუმათის ბაზრობა 1905 წ.

რო ბატონიშვილმა გამოაქვეყნეს გურიის ბაზრებზე გასაყიდი საქონლის სავალდებულო ნიხრი. ამ დოკუმენტის შესაკვლამ აღნიშნულია, რომ ნიხრი წესდება იმერეთის მეფის ბრძანებით. აქ ბევრ სანახაობას ნახავს მოსული ადამიანი. თავდაპირველად უცხო კაცს გააკვირვებს აჭრელებულ მოდაზე შეკერილი ქალის კაბები, რომელიც აცვია აჭური თავადის ცოლებიდან დაწყებული გალატაკებულ გლეხის ქალამდე. ყველას აცვია წითელ-ყვითელი კაბები და მოსასხამები. სომხები ათამაშებენ ფულის სათამაშო ლატარასაც. თავდაპირველად ბაზრობაზე იყო ცეკვა-თამაში, სიმღერა, მაგრამ თანდათანობით ეს ტრადიცია მოიხსო და ხალხი მარტო სავაჭროდ დადიოდა. ასე იყო სხვა ბაზრობებზეც. ნაგომრის ბაზრობა თავისი მოცულობით, შინაარსით და მოვლენით უნიკალური იყო და საქართველოსთვის და არც ერთი დიდი ქვეყნის ბაზრობას არ ჩამოუარებოდა საინტერესო სურათს წარმოადგენდა ჯუმათის ბაზრობა (იარბურკა), რომელიც სექტემბერში იმართებოდა და დაახლოებით ორ კვირას გრძელდებოდა. მიწურებოდა თუ არა საგარეო სეზონი, მას მოსდევდა ბაზრობა. ბაზრობაში მონაწილეობდნენ ვაჭრები სხვადასხვა დაბა-ქალაქებიდან (ოზურგეთი, ლანჩხუთი, ქუთაისი ზუგდიდი, ჩოხატაური.) ჯუმათის მთავრების ერთი შტო ლანჩხუთისკენ ეშვება და ამ განშტოების ქვეშე ყავრებით გადახურული კარები (ფარდლები) ეწყობოდა. აქ ერთიმეორეს ხელვებდნენ მეიდველები და გამყიდველები. უმეტესად მოპქონდათ ქსოვილები (ფართალი), მაგრამ საკმაოდ იყო სამკიტნოებიც. აქ ნახავდით თეთრი და წითელი ღვინით სავსე რუმბებს, ტიკებს, კასრებს, ქართულ სასმისებს. ხალხის მოსატყუებლად იმართებოდა ლატარეა წარწერით: „ერთი ჩადებ, ორს წაიღებ“ ლატარის ხალხი ბლომად ეტანებოდა, მაგრამ მოგება შორს იყო. ლატარია ისე იყო მოწყობილი, რომ მრგვალი მაგიდის ირგვლივ მოტრიალე ჯოხი მაინც ცარიელ ადგილას მობრუნდებოდა და გაჩრდებოდა. ლატარის პატრონი ზრდილობიანად ბოდიშს მოიხდოდა, წაგებულაო და ჯოხს შემდეგ გადასცემდა და ასე გრძელდებოდა დაუსრულებლად.

## საკვაჭრო ცენტრები ოზურგეთში XIX საუკუნეში



ოზურგეთის ბაზრობა 1905 წ.

ნაგომრისა ერთ-ერთ საუკეთესო ბაზრობად ითვლებოდა მთელ გურიაში. ვაჭრობისთვის ჩინებული დრო იყო შერჩეული-კათათვე. ეს ის დრო იყო, როცა გლეხი თითქმის მოცლილი იყო, რადგან სიმინდი უკვე გამარგალილი ჰქონდა და შეძლო ვაჭრობაში მონაწილეობა მიეღო თავისი ნაწარმით. ვაჭრობა გრძელდებოდა 15 დღე. სავაჭრო დღეები განთავსებული იყო ოზურგეთი-სამტრედიის გზატკეცილზე, მდ. სუფსის ნაპირას. საფარილო და სამიჩიტო დღეები ხისგან იყო აგებული და გზის იქით-აქეთ ნაპირზე იყო განლაგებული. ნაგომრის ბაზრობაზე თავს იყრიდა 10000-ზე მეტი ადამიანი. მთელ დასავლეთ საქართველოს წარმომადგენლობა აქ იყო: აჭარლები, იმერლები, სამეგრელოსა და აფხაზეთის, ახალციხის, მთიანეთ-რაჭის და სვანეთის მოსახლეობა. გურიის დაბალი ხალხი თითქმის მთელ წლის საკმარის ფართოლეულობას მაშინ ყიდულობდნენ. "გარშემო შემოაქეთ გასაყიდად ნაწარმი სოფლისა, ხილი, მწვანელი, ფროთოსანი, ოთხფენი, სხვადასხვა ნაქივები... თიხის ჭურჭელი, ქვევრები, კოკები, ღოჭები, მჭადის საცხობი კეცები. ბაზარშივე გამოაქეთ გათლილი ფიცრები. სხვათაშორის დიდძალი შემოაქეთ ურთხელის ფიცრები, თითო კარგად მოზრდილი 6 აბაზად იყიდება. 1808 წ. 25 ივლისს მამია გურიელმა და ქაიხოს-

მიწვებდნენ ხის ჩრდილში და კარგა ხანს ებნათ. იმდროინდელი მულ-მომოქმედ ბაზრობებს შორის იყო დეაბზუს ბაზრობაც. სოფ. დეაბზუში, საკონსერვო ქარხნის უკან მხარეს მიმდებარე ტერიტორიას სოფლის მეცხოვრებნი უწოდებდნენ „ნაქალაქარს“ ძველად თურმე ამ ადგილას იმართებოდა ბაზრობა. სავაჭროდ აქ მოდიოდნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან. ბაზრობა იმართებოდა პარასკეობით და მას „პარასკეობა“ ერქვა. დეაბზუში რომ საბაზრო პუნქტი არსებობდა, ამოწმებს საქართველოს მთავარმართველის, ბარონ როზენის ცნობას. 1837 წ. იგი წერდა: „გურიაში“ დაბა დეაბზუს არს ბაზარი, რომელზედაც სავაჭროდ მოდიან იმერლები, გურულები, თურქები, ქობულეთიდან და სხვა ადგილებიდან. დეაბზუში ოჯახებით ცხოვრობდნენ და საქმიანობდნენ ქართველი კათოლიკე ვაჭრები; თუმანიშვილი, მელიქიშვილი, ბაგდოშვილი, ოქროშვილი გრძელიდნენ ქუჩული ზალანაშვილი, სულ 8 კომლი, 27 სული. (ქ. ჩხატარაიშვილი „გურიის სამთავროს შეერთება რუსეთთან“) **მარიამ ლლონტი**

### გაბრძენილება შეიძლება ნომერში

# ერთი ლექსის საღაპოზე



საღამოს ორგანიზატორი და სცენარის ავტორი საქართველოს დამსახურებული ბიბლიოთეკარი ზინა სალუქვაძე განხლდათ. გარდა პოეზიის სივარულით, სამრევლო სკოლის მოსწავლეებმა ქართული ფილმების სივარულიც გამოავლინეს.

საღამოზე ადგილობრივი პოეტები როლანდ თავაძე, ნოდარ დონაძე და თემურ მარშანიშვილი იყვნენ წარმოდგენილი. მათ საკუთარი ლექსები წაიკითხეს.

ჟურნალისტი თემურ მარშანიშვილს დაბადებიდან 60 წელი შეუსრულდა. მას საიუბილეო თარიღი მიულოცეს და საჩუქარი გადასცეს.

# ველოტური „არა ოჯახურ კალაძობას“



ველოტურის უსაფრთხოებისათვის ოზურგეთის პოლიციის რამდენიმე ეკიპაჟი იყო მობილიზებული.

ვაჟების ველოტურში ბავშვებმა იმარჯვეს. I ადგილზე დავით სამაშვილი გავიდა (ბავშვის საჯარო სკოლა, VIII კლასი); II ასევე ბავშვი ლევან ანალოძე იყო, ხოლო III ქვედაასხველი ზურაბ დოლიძე.

გოგონათა ველოტურში 6 გოგონა მონაწილეობდა, აქედან ერთი სტარტის აღებიდან ასიოდ მეტრის გავლის შემდეგ დაიბრუნა და შეეჯიბრს გამოეთობა.

აქ პირველ ადგილზე გადამა ბავშვის სკოლის VIII კლასელი ირმა დოლიძე გავიდა; მეორეზე — ოზურგეთელი მარი სალუქვაძე; III ადგილზე დავაზუელი ლელა დოლიძე იყო.

გამარჯვებულებს ტურნირის ორგანიზატორებმა ველის პედლები გადასცეს; ხოლო საპრიზო ადგილებზე გასულებს გორგოლაჭები, ბადმიტონის ჩოგანი და ბურთი.

ქალთა შორის ველოტურში პოლონელი მონაწილეები ავატა ვესელოვსკა და იოლანთა გოდეტი მონაწილეობდნენ. მართალია პოლონელებს არ გაუმარჯვიათ, მაგრამ მათ კმაყოფილება გამოხატეს არასამთავრობო ორგანიზაციის „ქალები რევიონის განვითარებისათვის“ მიმართ.

ლონისძიების ორგანიზატორებმა მოსახლეობს ლიფტლები დაუორივეს ოჯახური ძალადობის თემაზე.

# უნივერსალურად სრულყოფილი ობიექტი

ქ. ოზურგეთში, ჩონატაურის ქუჩაზე არსებული შენობა, რომელშიაც განთავსებულია ცნობილი ეკიპის ორინა გოგუაძის ძალისხმევით შექმნილი სამედიცინო ობიექტი: „ქალთა ჯანმრთელობის ასოციაცია — „პაციენტი პლუს“, შპს „საქიმო“ და სამედიცინო დიაგნოსტიკური ცენტრი, კიდევ ერთი აუცილებელი სამკურნალო დაწესებულებებით გამოდიდრდა. სულ ახლახან, იქ დამკვიდრდა „შპს ფსიქიატრიისა და ნარკოლოგიის გურიის რეგიონული ცენტრი.“

ზაზი უნდა გასვას იმ გარემოებას, რომ აღნიშნული სამედიცინო ობიექტი, რომელიც ყოფილი რაიონული საავადმყოფოს ამორტორიზებული შენობის დაცვლის აუცილებლობიდან გამოიშინარე, სხვათა ერთად, იძულებული გახდა სამუშაო ადგილი გამოეცვალა და იგი ჩონატაურის ქუჩაზე არსებულ სამკურნალო ცენტრში, ქალბატონ ირინა გოგუაძის ინიციატივით განთავსდა, რითაც მასი დასაქმებულ მალაპროფესიონალ


სპეციალისტებს საშუალება მიეცათ კიდევ უფრო მეტი ეფექტურობით გააგრძელონ თავიანთი ფასდაუდებლად მნიშვნელოვანი საქმიანობა.

ამიტომაც, „შპს ფსიქიატრიისა და ნარკოლოგიის გურიის რეგიონული ცენტრის“ ხელმძღვანელი, წარმატებული ეკიპი და მალაპროფესიონალი ნიჭით დაჯილდოებული პიროვნება, ბატონი ვია თავბერიძე, მთელი თავისი კოლექტივისა და მრავალრიცხოვან პაციენტთა სახელით, უდიდეს მადლიერებას გამოხატავს ქალბატონ ირინას მიმართ.

ასე, რომ გადაუჭარბებულად შეიძლება ითქვას: ყოფილი მდაროთა სამმართველოს მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული ზემოაღნიშნული შენობა, კიდევ უფრო უნივერსალურად სრულყოფილი ობიექტი გახდა.

**როლანდ თავაძე,**  
„შპს ფსიქიატრიისა და ნარკოლოგიის გურიის რეგიონული ცენ-

# ბასენიშა მასწავლებლისა (შოთა ინჰკირველი)



სიმილდრე ჩვენ, მისი მოსწავლეები ვიყავით. მასთან ჭადრაკის გარდა არაფერი გვახსოვდა. ნინო გურიელი.

"საქართველოსა და საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელი შოთა ვალერიანის ძე ინჰკირველი, შეიძლება ითქვას, ჩემი უპირველესი მასწავლებელი და მწვრთნელია, რომელმაც გადამწვევტი როლი ითამაშა მოჭადრაკედ ჩემს ჩამოყალიბებაში. ჩემი არა ერთი კოლეგა, დღეს სახელმწიფო მოჭადრაკეები, უმაღლიან ბედს, რომ მათი აღმზრდელი და გზაზე დამყენებელი იყო შოთა მასწავლებელი". ნანა იოსელიანი.

„ჩვენი წარმატება უპირველესად ჩვენი მწვრთნელის ძვირფასი შოთა ინჰკირველის დამსახურებაა. მისი შემოქმედებით მე გადავაბიჯე პირველ დამარჯობებს“. ქეთევან კახიანი.

შოთა ინჰკირველის 60 წლის თავზე თვალი პატიოსნის" ავტორმა - გურამ ფანჯიკიძემ თქვა: „მე დიდ პატივს ვცემ შოთა ინჰკირველს, იგი შესანიშნავი აღმზრდელი და სპეციალისტია. თვითონ პედაგოგის ოჯახიდან ვარ და ვიცი რას ნიშნავს ერისათვის კარგი პედაგოგი. თანაც ისეთი სპეციალისტი, როგორც შოთა ინჰკირველია. მინდა ვუთხრა მას, რომ იგი ის კაცია, საქართველოს, ქართველ ერს რომ სჭირდება".

პროფესორი აფთხანდოლი დაუშვითი - "ჩვენ ყველა პატივს ვცემთ, ყველას გვიყვარს ნონა გაფრინდაშვილი და ვიქტორ კუპრაძე, ნაზი კილასონია და ლექსო თორაძე, ასევე ძვირფასი და საყვარელი ადამიანია შოთა ინჰკირველი. მართლაც რომ უნაგარო აღმზრდელი და დიდი პატივითა იგი.

შოთა ინჰკირველს საღალბო სტრიქონები მიუძღვნა პოეტმა ზაურ ბოლქვაძემაც -

„ჩვენ ძალიან კარგად ვიცნობთ შოთა ინჰკირველს - გულმხურვალე მამულიშვილს. თვითმხილველნი, მოწმენი ვართ მისი თავგანწირული შრომისა, მაგრამ ახლა, როცა ერთგვარად ვაჯამებთ მის მიერ განვლილ გზას, გაცოცხა გვეუფლება.“

(ნ. გაფრინდაშვილი, ბ. გურგენიძე. უანგარო მოღვაწე „ციცკარი“, 1984, №9.)

„დღეს ბავშვებთან მოღვაწე მწვრთნელთა შორის იდეალად შოთა ინჰკირველი მიმაჩნია. მან ნორჩებთან მუშაობის ყველა "საიდუმლოება" იცის.“

(ნ. გაფრინდაშვილი. "შოლოდ პატიოსნებას მოვითხოვ". "ლელო", 1989. 26.09.)

"დაიხ, ასეთია იგი - შოთა ინჰკირველი, გამოცდილი უღალატო პედაგოგი და ადამიანი: კაცი რომელსაც ცხოვრების მოწოდებად სამშობლოს, ერის სამსახურია ყველაზე დიდი ამქვეყნიური ბუნდირება." (ნ. გალიანი. დიდი ამქვეყნიური ბუნდირება. "პიონერი, 1989, №3.)

"თუ ვინმეზე შეიძლება ითქვას ქართული ჭადრაკის ამგდარი, ეს უპირველესად ბატონ შოთა ინჰკირველზე ითქმის. მისთვის არაფერი არ არსებობდა თავისი მოსწავლეებისა და ჭადრაკის გარდა. ის ყოველთვის თავდაუზოგავად შრომობდა, ხშირად საკუთარი ჯამრთელობის ფასადაც. შოთა მასწავლებელთან მორეთანრიგისანი მივედი - პირველი, რაც მან გააკეთა იყო ჩემი თანრიგის გაუქმება, ყველაფერი თავიდან დაიწყო. მე მასთან მუშაობაში მივხვდი, თუ რაოდენ ძნელი ყოფილა ნამდვილი ჭადრაკის თამაში, რა ენერგია, რა ძალისხმევა სჭირდება თურმე მას. შოთა მასწავლებელს თავად შეეძლო შეექმნა მეტად საინტერესო შემოქმედებითი ატმოსფერო. მისი ყოველი გაკვეთილი რაღაც ახალს მშატებდა და ვთვლიდი, რომ თუ რამეს მივალწეო საჭადრაკო პრაქტიკაში, ეს მისი დამსახურებაა. მას მთელი ცხოვრების მანძილზე არავითარი სიმილდრე არ შეუქმნია. მისი

# შოთა ინჰკირველი:

„ჩვენ ძალიან კარგად ვიცნობთ შოთა ინჰკირველს - გულმხურვალე მამულიშვილს. თვითმხილველნი, მოწმენი ვართ მისი თავგანწირული შრომისა, მაგრამ ახლა, როცა ერთგვარად ვაჯამებთ მის მიერ განვლილ გზას, გაცოცხა გვეუფლება.“

(ნ. გაფრინდაშვილი, ბ. გურგენიძე. უანგარო მოღვაწე „ციცკარი“, 1984, №9.)

„დღეს ბავშვებთან მოღვაწე მწვრთნელთა შორის იდეალად შოთა ინჰკირველი მიმაჩნია. მან ნორჩებთან მუშაობის ყველა "საიდუმლოება" იცის.“

(ნ. გაფრინდაშვილი. "შოლოდ პატიოსნებას მოვითხოვ". "ლელო", 1989. 26.09.)

"დაიხ, ასეთია იგი - შოთა ინჰკირველი, გამოცდილი უღალატო პედაგოგი და ადამიანი: კაცი რომელსაც ცხოვრების მოწოდებად სამშობლოს, ერის სამსახურია ყველაზე დიდი ამქვეყნიური ბუნდირება." (ნ. გალიანი. დიდი ამქვეყნიური ბუნდირება. "პიონერი, 1989, №3.)

"თუ ვინმეზე შეიძლება ითქვას ქართული ჭადრაკის ამგდარი, ეს უპირველესად ბატონ შოთა ინჰკირველზე ითქმის. მისთვის არაფერი არ არსებობდა თავისი მოსწავლეებისა და ჭადრაკის გარდა. ის ყოველთვის თავდაუზოგავად შრომობდა, ხშირად საკუთარი ჯამრთელობის ფასადაც. შოთა მასწავლებელთან მორეთანრიგისანი მივედი - პირველი, რაც მან გააკეთა იყო ჩემი თანრიგის გაუქმება, ყველაფერი თავიდან დაიწყო. მე მასთან მუშაობაში მივხვდი, თუ რაოდენ ძნელი ყოფილა ნამდვილი ჭადრაკის თამაში, რა ენერგია, რა ძალისხმევა სჭირდება თურმე მას. შოთა მასწავლებელს თავად შეეძლო შეექმნა მეტად საინტერესო შემოქმედებითი ატმოსფერო. მისი ყოველი გაკვეთილი რაღაც ახალს მშატებდა და ვთვლიდი, რომ თუ რამეს მივალწეო საჭადრაკო პრაქტიკაში, ეს მისი დამსახურებაა. მას მთელი ცხოვრების მანძილზე არავითარი სიმილდრე არ შეუქმნია. მისი



# ჭაბუკი „არწივების“ გაპარჯება

დასრულდა დასავლეთ საქართველოს ჭაბუკთა „არწივის გათამაშება რაგბში. ბოლო ტურში ოზურგეთის „არწივებმა“ ზვანის სტადიონზე „ქუთაისი-6“ უმასპინძლეს და 29-15 დამარცხეს.

ოზურგეთელმა ჭაბუკებმა ბრწყინვალედ ითამაშეს და ტავიდან დაწინაურდნენ 12-0. შემდეგ გამოცდილმა ქუთათურებმა შეძლეს გარდატეხის შეტანა თამაშში და დაწინაურდნენ 15-12. მს მოჰყვა „არწივების“ გააფთრებული შეტევა და მათ საბოლოოდ დამარცხეს თანატოლები. ეს ოზურგეთელი ჭაბუკების რიგით მეოთხე გამარჯვებაა.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ ასაკობრივ ჯგუფში (1996-

97 წ.წ. დაბადებულები) პირველად მიიღეს მონაწილეობა და საკმაოდ კარგი შედეგი აჩვენეს.

ამ შეხვედრას მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ალექო მამუშვილი და სპორტის მესვეური ესწრებოდნენ. გამარჯვებულ გუნდს სპეციალური დიპლომა და ფასიანი საჩუქრები გადაეცა.

გუნდის წარმატებებში თავიანთი წვლილი შეაქტო შპს „ვასაძის პურის“ დირექტორს მერაბ ვასაძეს, ინდემქარბე „ვასილ ბემიტიანიშვილს,“ ლუდის ქარხნის დირექტორს ამირან როფყას და გულშემატკივართა დიდ გარემოცვას.

**მერაბ კხელაძე,**  
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი და კრიოგენული ოსტატი ჭადრაკში